

გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2018 წლის 23 ოქტომბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N601/23 „გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის დაწყების თაობაზე და „მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2007 წლის N498/9 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2018 წლის 22 ნოემბერს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დღედ განისაზღვრა 2018 წლის 6 დეკემბერი. კომისიის 2018 წლის 22 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ: შპს „ვიონი საქართველო“ იურიდიული სამსახურის უფროსი ი. ესართია, შპს „მაგთიკომის“ იურისტი დ. დიმიტური, შპს „მაგთიკომის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილე დ. მუჯირიშვილი, შპს „მაგთიკომის“ ქსელის არქიტექტორი ა. ნინიძე, შპს „მაგთიკომის“ ფინანსური დირექტორის მოადგილე გ. გაგნიძე, სს „სილქნეტის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი თ. ტყეშელაშვილი, შპს „გრინ ნეთვორქსის“ დირექტორი ი. ომაძე, შპს „სტარ ნეთვორქსის“ დირექტორი ლ. ომაძე, შპს „აირკონექტის“ დირექტორი დ. ცერცვაძე, შპს „ლოკალ ნეთვორქსის“ დირექტორი გ. გოგიძე, შპს „ლოკალ ნეთვორქსის“ აქციონერი დ. ტაბიძე, ააიპ „სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე უ. სეთური, შპს „კავკასიის ციფრული ქსელის“ დირექტორი დ. თუთბერიძე, შპს „ინტელკომ ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ზ. ძამაძია, შპს „ინტელკომ ჯგუფის“ გაყიდვების მენეჯერი ი. გურული, შპს „სქაიტელის“ დირექტორი ა. ხოჯაშვილი, შპს „სტვ-1“ -ის წარმომადგენელი ა. გაგომიძე.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის (დ. გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

„მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N498/9 გადაწყვეტილების შესაბამისად მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე წინასწარი რეგულირების მიზნით განისაზღვრა საბითუმო მომსახურებები და ამ ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაეკისრათ სპეციფიკური ვალდებულებები. აღნიშნული გადაწყვეტილებით წინასწარი რეგულირებისთვის დადგენილი საბითუმო მომსახურებები დღეს არსებული ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში მოძველებულია, ავტორიზებული პირები აღარ ეწევიან აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტექნოლოგიებით მომსახურებას. შესაბამისად, კომისიის მიერ შესწავლილ იქნა გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა. ბაზრის ანალიზის საკონსულტაციო დოკუმენტი კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 4 ივნისს („გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ანალიზი“ <http://gncc.ge/uploads/other/3/3126.pdf>). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გამოყოფილი არხებით მომსახურების მიწოდების ნებისმიერ ტექნოლოგიისთვის („Dark fiber“, „Ethernet“, „WDM“ და ა.შ.) და მომსახურების მიწოდების ყველა მოცულობისთვის (1მბ/წმ, 2 მბ/წმ, ... 100 მბ/წმ, ... 1გბტ/წმ, ... და ა.შ.) წინასწარ რეგულირების მიზნებისთვის განისაზღვრა ბაზრის შემდეგი სეგმენტები:

ა) მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;

ბ) „Backhaul“ გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი.

ინტერნეტ საცალო ბაზარზე კონკურენციის ტენდენციები

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა საქართველოში დომინანტურ და ყველაზე სწრაფად მზარდ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ტექნოლოგიას წარმოადგენს. WiFi ტექნოლოგია ასევე ფართოდ გამოიყენება რეგიონებსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში

აბონენტებისათვის ინტერნეტის საცალო მომსახურების მისაწოდებლად. რაც შეეხება „xDSL“ ტექნოლოგიას, რომელიც ძირითადად ქალაქებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებშია გამოყენებული მომსახურების მისაწოდებლად, სწრაფი ტემპით მცირდება, რადგან მას ეტაპობრივად „FTTx“ ანაცვლებს.

ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების ბაზრის ანალიზის მიხედვით, ბაზარზე ძირითადად ორი ავტორიზებული პირი საქმიანობს, რომლებიც ერთობლივად საბაზრო წილის 87%-ს (აბონენტების რაოდენობის მიხედვით, „xDSL“ და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის გათვალისწინებით) ფლობენ. ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე სს „სილქნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ დომინირებენ. ბაზრის სტრუქტურის, სატარიფო პოლიტიკისა და მაღალი სიჩქარის (30 მგბტ/წმ და უფრო სწრაფი) პროდუქტების გათვალისწინებით, ბაზრის ამ სეგმენტზე კონკურენციის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა, როგორც ბაზრის შესაბამის სეგმენტზე აღნიშნული ავტორიზებული პირების ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ასევე გეოგრაფიული ზონების მიხედვით მათ მიერ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობაც.

მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015 -2017 წლების პერიოდში

კომპანია	2015		2016		2017	
	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი
სილქნეტი	229,854	72,673,308	244,330	75,886,974	255,265	79,177,437
მაგთიკომი*	187,451	68,493,998	198,717	69,423,502	323,957	77,496,240
სხვა	90,559	22,133,606	95,456	24,823,076	82,999	22,429,712
სულ	507,864	163,300,912	538,503	170,133,552	662,221	179,103,389


ცხრილი N1

სს „სილქნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ საცალო მომსახურების აბონენტებს ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების მრავალფეროვან პაკეტებს სთავაზობენ. სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისთვის მიწოდებული ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების საერთო ოდენობიდან 65 პროცენტი ოპტიკური ინტერნეტია, 35 პროცენტი „xDSL“, ხოლო შპს „მაგთიკომის“ შემთხვევაში 99.7 პროცენტი და 0.3 პროცენტი შესაბამისად, შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის შემთხვევაში ოპტიკური ინტერნეტი 97 პროცენტს შეადგენს, xDSL კი მხოლოდ 3 პროცენტს.

შენიშვნა: ცხრილი N 1-ში მოცემული მაგთიკომის 2015-2016 წლის მონაცემები მოიცავს შპს „კავკასუს ონლაინის“, შპს „ა-ნეტის“ და შპს „დელტა ნეტის“ მონაცემებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის და „xDSL“ აბონენტების შესახებ. ხოლო 2017 წლის ინფორმაცია შედგება შპს „მაგთიკომის“, შპს „ა-ნეტის“ და შპს „დელტა ნეტის“ მონაცემებისაგან.

საბაზრო ხვედრითი წილები კომპანიების მიხედვით, 2015 -2017 წლების კვარტლების ჭრილში, მთლიანი საქართველო:

გრაფიკი N2



ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის ანალიზის შედეგად ასევე დგინდება, რომ ინტერნეტის გლობალურ რესურსებზე და გამოყოფილი არხების (IP ტრანზიტი) საბითუმო მომსახურებებზე დღეს არსებული რეგულაციების მიუხედავად, აუცილებელია ინტერნეტის ადგილობრივ და საერთაშორისო რესურსებთან დაშვების არადისკრიმინაციული პირობების შექმნა იმისათვის, რომ მცირე ზომის ოპერატორებს, რომელთაც არ გააჩნიათ პირდაპირი დაშვება ადგილობრივ და საერთაშორისო დონის ქსელების ინფრასტრუქტურაზე, შესაძლებლობა ჰქონდეთ ეფექტიანი კონკურენცია გაუწიონ (სიჩქარის და/ან ფასის მხრივ) უფრო მსხვილ ოპერატორებს.

ინტერნეტის საბითუმო რესურსებთან დაშვების პირობები, მათ შორის ტარიფები, ბოლო მომხმარებლებისთვის ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობის გაზრდის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. საქართველო ინტერნეტის გაცვლის საერთაშორისო ცენტრთან დაკავშირებულია რამდენიმე ოპტიკური ხაზის მეშვეობით, კერძოდ, თბილისიდან ფოთამდე და შავი ზღვის გავლით ბულგარეთის, რუმინეთის და ნოვოროსიისკის მიმართულებით, ასევე ალტერნატიული მარშრუტები წარმოადგენილია თურქეთის გავლით და აზერბაიჯანის მიმართულებით. საქართველო ყველა მეზობელ ქვეყანასთან დაკავშირებულია რამდენიმე ალტერნატიული ოპტიკური ხაზის მეშვეობით. ინტერნეტის საერთაშორისო კავშირისა და საბითუმო მომსახურების მიხედვით ბაზარზე დომინირებს სამი მსხვილი მონაწილე (შპს „კავკასუს ონლაინ“, სს „სილქნეტი“ და შპს „ახალი ქსელების“ ჯგუფი).

ძირითად/მაგისტრალურ (“Trunk”) და ე.წ. “Backhaul” გადაცემის ქსელებთან დაშვება უზრუნველყოფს ფიქსირებული ქსელის ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენტული გარემოს შექმნას. კერძოდ, აღნიშნული მომსახურებების რეგულირებით მცირე და საშუალო ზომის ოპერატორები შეძლებენ საბოლოო მომხმარებლებს მიაწოდონ ისეთივე სახის მაღალი ხარისხის და მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი მომსახურებები, რომელსაც საკუთარ აბონენტებს აწვდენ მსხვილი ოპერატორები. ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაუნათებელ ღეროსთან, “Backhaul” გადაცემის ქსელთან ან სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხთან დაშვება საშუალებას მისცემს ქსელთან დაშვების მსურველს, მივიდეს ინტერნეტის ურთიერთჩართვის კონკრეტულ წერტილამდე და ასევე საშუალებას მისცემს მას ააგოს საკუთარი ქსელი, რომელიც დაკავშირებული იქნება ინტერნეტის ურთიერთჩართვის წერტილთან.

ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ანალიზის შედეგებით დადასტურდა, რომ საინვესტიციო პრინციპების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, სხვა შესაბამის ვალდებულებებთან ერთად, უნდა დაეკისროს ქსელთან დაშვების ვალდებულებები. მცირე ავტორიზებული პირების პერსპექტივიდან გამომდინარე, ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული საშუალებას მისცემს მათ შევიდნენ საცალო ბაზარზე ან გაფართოვდნენ აღნიშნულ ბაზარზე, ქსელის განვითარებისათვის საჭირო ფართომასშტაბიანი და შრომატევადი საწყისი ინვესტიციის განხორციელების გარეშე. ამასთან, მიუხედავად შეზღუდული საკუთარი მაგისტრალური ინფრასტრუქტურისა, მცირე ავტორიზებულმა პირებმა ქვეყნის მასშტაბით უნდა შეძლონ საცალო ბაზარზე შესვლა. აღნიშნული ღონისძიებები ასევე ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურაზე

დაფუნქციონირების კონკურენციის განვითარებას (საშუალო და ხანგრძლივ ვადებში), ვინაიდან აღნიშნული საშუალებას მისცემს მცირე ავტორიზებულ პირებს მუდმივად გააუმჯობესონ ბაზარზე მათი პოზიცია ქსელის ეტაპობრივად გავრცელებით იმ გეოგრაფიული არეალებში, სადაც უზრუნველყოფილია საინვესტიციო შესაძლებლობები.

გამოყოფილი არხების საბითუმო მომსახურების ზარის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრა

გამოყოფილი არხების ქსელის სტრუქტურა შემდეგ ძირითად სეგმენტებად იყოფა:


ადგილობრივი ("Access") დაშვების ქსელის სეგმენტი - ქსელის საბოლოო მონაკვეთი, რომელიც ტერმინალური მოწყობილობების საშუალებით ამყარებს კავშირს ბოლო მომხმარებლის შენობიდან ადგილობრივი დაშვების კვანძთან ან იმ წერტილთან, სადაც კონკურენტი ოპერატორის ქსელის აღჭურვილობა მდებარეობს.

"Backhaul" გადაცემის ქსელის სეგმენტი წარმოადგენს ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის ადგილობრივი დაშვების კვანძიდან მომსახურების მიმღები ავტორიზებული პირის ქსელის ძირითად კვანძს შორის კავშირს. აღნიშნული სეგმენტი ხშირად იყენებს გაზიარებულ ინფრასტრუქტურას, მათ შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ფიზიკურ გაზიარებას ან/და მულტიპლექსირების საშუალებით მონაცემების გადაცემის სხვადასხვა საშუალებებს.

ძირითადი/მაგისტრალური ("Trunk") ქსელის სეგმენტი წარმოადგენს ქსელის ძირითად კვანძებს შორის აგრეგირებულ კავშირს. "Backhaul" გადაცემის ქსელის სეგმენტის მსგავსად ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის ძირითადი ქსელის სხვა ავტორიზებული პირისთვის გაზიარება, ტრაფიკის სხვადასხვა ნაკადების საშუალებით ხორციელდება, თუმცა ამ შემთხვევაში ძირითად ქსელში გაცილებით უფრო დიდი მოცულობის ტრაფიკი გადაიცემა, რადგან ის აკავშირებს ძირითადი ქსელის ისეთ კვანძებს როგორცაა ქალაქები და დასახლებული პუნქტები.

გრაფიკი N1-ზე ნაჩვენებია გამოყოფილი არხების მომსახურების ქსელის სტრუქტურა შემადგენელი სეგმენტების მიხედვით

გრაფიკი N 3




შენიშვნა: LSE –Local Serving Exchange ადგილობრივი დაშვების სადგური/პუნქტი საბითუმო მომსახურებები

გამოყოფილი არხის საბითუმო მომსახურება უზრუნველყოფს ქსელის მფლობელ ავტორიზებული პირის კვანძსა და მომსახურების მიმღები ავტორიზებული პირის ქსელის კვანძს შორის კავშირს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ავტორიზებულ პირს ამ საბითუმო მომსახურებისა და საკუთარი ქსელის გამოყენების კომბინაციით ააგოს ორ დამაბოლოებელ წერტილებს შორის კავშირი. ეს მომსახურება ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორიზებული პირის მიერ ქსელის კვანძების დასაკავშირებლად.

მაგისტრალური ან ძირითადი ქსელი გამოიყენება დასახლებულ ცენტრებს შორის გრძელ მანძილებზე მონაცემთა გადაცემის უზრუნველსაყოფად. მაგისტრალური ქსელის საშუალებით ტრანსპორტირებული მონაცემები სხვა სატრანსპორტო ნაკადებთან ერთად (მულტიპლექსირების გამოყენებით), საშუალებას აძლევს სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს, უფრო ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი ქსელი მონაცემთა ტრანსპორტირებისთვის. მაგისტრალური

არხები ფართოდ გამოიყენება ფართოზოლოვანი საცალო მომსახურებების მიწოდების პროცესში. მაგისტრალური არხების ტექნოლოგიები მოიცავს: გაუნათებელ ოპტიკურ ბოჭკოვან კაბელებს, „WDM“-ს და „Ethernet“ - ს. ძირითად ქსელში კვანძებს შორის ფიზიკური კავშირი ოპტიკურ ბოჭკოვან ქსელზეა აგებული.

„Backhaul“ გადაცემის ქსელის ფართოზოლოვანი მომსახურება უზრუნველყოფს ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის კვანძიდან ამ მომსახურების მიმღები ავტორიზებული პირის კოლოკაციის წერტილსა და/ან ქსელის ძირითად კვანძს შორის ციფრული მონაცემების გადაცემას. „Backhaul“ ქსელი საჭიროა საბოლოო მომხმარებლების ადგილობრივი ქსელის ტრაფიკის საკომუნიკაციო ოპერატორის ძირითადი ქსელთან დასაკავშირებლად. აღნიშნული მოცემულია გრაფიკი N4-ზე



„Backhaul“ შემდეგი მომსახურებისაგან შედგება:

- სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხთან დაშვება;
- ოპტიკურ ბოჭკოვან კაბელთან დაშვება;
- „WDM“-თან დაშვება;
- „Ethernet“ (L2 ან L3)-თან დაშვება.

„WDM“ წარმოადგენს მონაცემთა გადაცემის ტექნოლოგიას, რომელიც ერთი და იმავე ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის/ძარღვის გამოყენებით, ერთდროულად რამდენიმე საინფორმაციო არხის გადაცემის საშუალებას იძლევა. თითოეული მომსახურების გადაცემა სხვადასხვა ტალღის სიგრძის ან სინათლის "ფერის" მიხედვით ხორციელდება. WDM- ს გააჩნია ისეთი სატრანსპორტო პროტოკოლი, როგორცაა ე.წ. ეთერნეტი (Ethernet) ან "Fiber Channel", ამასთან მას აქვს "SDH"-ის და "STM"-ის ინტერფეისების მხარდაჭერაც.

"Ethernet" - წარმოადგენს მონაცემთა გადაცემის ტექნოლოგიას, რომელიც მეორე დონის („Layer 2“) ორ კვანძს შორის მონაცემების გადაცემის საშუალებას იძლევა. საქართველოში Ethernet მომსახურება ძირითადად ხელმისაწვდომია 1 მგბტ/წმ-დან 10 გბიტ /წმ-ის ფარგლებში ყველაზე უფრო გავრცელებული 100 მგბტ/წმ მოცულობაა.

"Dark Fibre" - გაუნათებელ ოპტიკურ-ბოჭკოვან ძარღვთან დაშვება საშუალებას აძლევს სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირს შექმნას საკუთარი აქტიური მომსახურებები. შესაბამისად, აღნიშნული ხელს უწყობს ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ჯაჭვში მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორის მიერ აქტიური მოწყობილობების შემოტანას, რაც უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს შექმნას. არსობრივად, გაუნათებელ ოპტიკურ-ბოჭკოვან ძარღვთან დაშვების მომსახურება ავტორიზებული პირისთვის უფრო მოსახერხებელია ვიდრე ქსელის აქტიურ მოწყობილობებთან დაშვება. გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვან ძარღვთან დაშვება პირველის დონის (Layer1) მომსახურებებს მიეკუთვნება, თუმცა ის

უზრუნველყოფს მეორე დონის (Layer2) მომსახურებების მხარდაჭერას მაგ. „WDM“, „Ethernet“ , „SDH“ და ა.შ.

სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხთან დაშვება, საკანალიზაციო არხში ნებისმიერი ტიპის კაბელის (სპილენძი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი, კოაქსიალური) გატარებით ქსელთან დაშვების მსურველი უზრუნველყოფს ძირითად/მაგისტრალურ ან „Backhaul“ ქსელთან ან ინტერნეტის/მონაცემთა გაცვლის ურთიერთჩართვის წერტილთან მისვლას.

მომსახურების ბაზრის სეგმენტაცია გამტარუნარიანობის მიხედვით

გამოყოფილი არხების საბითუმო მომსახურების მაღალი და დაბალი სიმძლავრეების მიხედვით ბაზრის სეგმენტაციის თაობაზე მსჯელობისას, განხილულ იქნა მიწოდების მხარის ჩანაცვლების შესაძლებლობები და დადგინდა, რომ აღნიშნული მომსახურების მიწოდებელ ავტორიზებულ პირებს, შეუძლიათ დაუყოვნებლივ ან/და ხანმოკლე პერიოდში უზრუნველყონ მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე, სხვადასხვა გამტარუნარიანობის ქსელთან დაშვების მსურველი ოპერატორისთვის მომსახურების მიწოდება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ გამტარუნარიანობის მიხედვით მომსახურების ბაზრის სეგმენტაცია არ არის მიზანშეწონილი.

მოთხოვნის მხარის ჩანაცვლების შეფასება

მაგისტრალური/ძირითადი ქსელი და „backhaul“ გადაცემის ქსელის სეგმენტები ფუნქციური დანიშნულებით ურთიერთშენაცვლებად მომსახურების სახეებს არ წარმოადგენენ. თითოეული მათგანი სპეციფიკური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მომსახურებებზე მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ოდენობით ტარიფების („SSNIP“ Test) გაზრდისას საბითუმო მომსახურების მომხმარებელი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერთი მომსახურებიდან მეორეზე გადავიდეს, რადგან თითოეული მათგანი დაკავშირებულია ქსელის სხვადასხვა კომპონენტებთან. ამასთან ერთად, მაგისტრალური/ძირითადი ქსელი წარმოადგენს ორ განსხვავებულ გეოგრაფიულ ზონას შორის კავშირს, ხოლო „backhaul“ გადაცემის სეგმენტი არის ერთი და იმავე გეოგრაფიულ ზონაში უზრუნველყოფილი კავშირი, ამიტომ ძირითად/მაგისტრალურ და „backhaul“ ქსელების გამოყოფილი არხები ურთიერთშემავსებელი მომსახურებებია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მაგისტრალურ და „backhaul“ არხებთან დაშვების საბითუმო მომსახურებები ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებად უნდა იქნას განხილული.

მიწოდების მხარის ჩანაცვლების შეფასება

მაგისტრალურ და „Backhaul“ ქსელებით გამოყოფილი არხებით უზრუნველყოფას განსხვავებული ეკონომიკური დანახარჯები გააჩნიათ. ძირითადი/მაგისტრალური ქსელის აგება მჭიდროდ დასახლებულ და კონცენტრირებული ტრაფიკის მქონე პუნქტებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო „Backhaul“ ქსელი მოიცავს ერთ რეგიონალურ სივრცეში არსებულ კვანძებს შორის კავშირს. შესაბამისად, „Backhaul“ ქსელი უზრუნველყოფს არა აგრეგირებული და ნაკლები მოცულობის ტრაფიკის ტრანსპორტირებას. აღნიშნული განსხვავებების გამო მიგვაჩნია, რომ მაგისტრალური ქსელით მომსახურების მიწოდებლებს არ შეუძლიათ დამატებითი დანახარჯების, რისკების და დროის გარეშე მოახერხონ „Backhaul“ ქსელის მომსახურებით ქსელთან დაშვების მსურველის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მაგისტრალურ და „backhaul“ ქსელის არხებთან დაშვების საბითუმო მომსახურებები ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებად უნდა იქნას განხილული.

საბითუმო მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გამოყოფილი არხების მომსახურების მიწოდების გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას, განხილულ იქნა გამოყოფილი არხების მომსახურების მიწოდებას შორის ის განსხვავებები, რომელიც ორ განსხვავებულ გეოგრაფიულ ზონებს შორის და ერთ გეოგრაფიულ ზონაში დამყარებული ელექტრონული კომუნიკაციების კავშირებიდან გამომდინარეობს. მაგისტრალური ქსელისთვის დამახასიათებელია მაღალი შესაძლებლობების კვანძები, რომელიც ოპერატორის დაშვების ქსელიდან წარმოშობილი აგრეგირებული სიმძლავრეების გატარების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოში ძირითადი/მაგისტრალური ქსელი ქალაქებს შორის კავშირის დასამყარებელი საშუალებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მაგისტრალური ქსელის საბითუმო მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები მიმართულებების (A წერტილი - B წერტილი) მიხედვით უნდა განისაზღვროს.

„backhaul“ გადაცემის ქსელის სეგმენტი ერთ გეოგრაფიულ ზონაში უზრუნველყოფილი ისეთი კავშირია, რომელიც საბოლოო მომხმარებელთან არ სრულდება. ამასთან, მომსახურების მიწოდების მხარის ჩანაცვლების პირობების გათვალისწინებით, „backhaul“ გადაცემის ქსელით მომსახურების გეოგრაფიულ საზღვრები უნდა განისაზღვროს რეგიონალურ დონეზე ისეთი დასახლებული პუნქტების მიხედვით, სადაც ერთი ავტორიზებული პირის საკუთრებაში ორი ან ორზე მეტი დაშვების წერტილია განთავსებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვრა დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელი მიმართულებების/მარშუტების მიხედვით, ხოლო „Backhaul“ გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვრა რეგიონალურ დონეზე (ქალაქები, ადმინისტრაციული ცენტრები, დასახლებული პუნქტები), სადაც ერთი ავტორიზებული პირის საკუთრებაში ორი ან ორზე მეტი დაშვების წერტილია განთავსებული.

რეგულირებას დაქვემდებარებული საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტების განსაზღვრა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოყოფილი არხებით მომსახურების მიწოდების ნებისმიერ ტექნოლოგიისთვის (Dark fiber, Ethernet, WDM) და ამ მომსახურების მიწოდების ყველა მოცულობისთვის (1მბ/წმ, 2 მბ/წმ, ... 100 მბ/წმ,1გბტ/წმ, ... და ა.შ.) განისაზღვრა:

ა) მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;

ბ) „Backhaul“ გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;

მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვრა დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელი მიმართულებების/მარშუტების მიხედვით, ხოლო „Backhaul“ გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვრა რეგიონალურ დონეზე (ქალაქები, ადმინისტრაციული ცენტრები, დასახლებული პუნქტები, სადაც ერთი ავტორიზებული პირის საკუთრებაში ორი ან ორზე მეტი დაშვების წერტილია განთავსებული).

ბაზრის ანალიზი

ბაზრის ანალიზის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შეფასება, არის თუ არა ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული და განსაზღვრული ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანად კონკურენტუნარიანი, ანუ წარმოდგენილია თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ერთი ან ერთზე მეტი ავტორიზებული პირი (პირები), რომელსაც ინდივიდუალურად და/ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გააჩნია.

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის ანალიზისას, კომისიამ შეაფასა შემდეგი კრიტერიუმები:

- ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა;
- ტექნოლოგიური უპირატესობა;
- მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან მარტივი ან პრივილეგირებული წვდომის შესაძლებლობა;
- დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები;
- მასშტაბის ეკონომია;
- მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია);
- ვერტიკალური ინტეგრაცია;

- საცალო გაყიდვების განვითარებული ქსელი;
- პოტენციური კონკურენტების არ არსებობა;
- ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამოყენებული იქნა მხოლოდ იმ კრიტერიუმის კომბინაცია, რომლებიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილია აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს შესაფასებლად.

ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა - ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის საერთო მოცულობის შესაფასებლად, ბაზარზე მის მიერ დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილი გამოიყენება. საბაზრო ხვედრითი წილი შეიძლება განსაზღვრული იქნას შესაბამისი მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების, აბონენტების რაოდენობის, ქსელის ან ქსელის შესაბამისი ელემენტების მოცულობების მიხედვით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად, ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა. რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე:

ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;

სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

ბაზრის ანალიზისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ მონაცემები, რაც განსაზღვრავს, ახასიათებს თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტს ეფექტიანი კონკურენციის ტენდენცია. ამასთან ერთად, მხოლოდ საბაზრო ხვედრითი წილის შესახებ მონაცემები არ იქნა გამოყენებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების კრიტერიუმად.

მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან და „Backhaul” გადაცემის ქსელთან საბითუმო დაშვების მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილის განსაზღვრისთვის, გაანგარიშებაში გამოყენებულ იქნა, როგორც ქსელის დატვირთვის მოცულობები (მბ/წმ), ასევე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ღეროების/მარღვების ოდენობები. ამასთან, კომპანიის საერთო მოცულობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებების საკუთარი შიდა მოხმარებისთვის გამოყენების და ასევე, ამ საბითუმო მომსახურებასთან სხვა ავტორიზებული პირების დაშვების მოცულობებიც. საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისას ორივე მონაცემის ერთობლივად არსებობისას, უპირატესობა მიენიჭა ქსელის მოცულობის (მბ/წმ) მაჩვენებლებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონაში სხვადასხვა ავტორიზებული პირები წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან ქსელის აქტიური მოწყობილობებით (გამტარუნარიანობა მბ/წმ), საბაზრო ხვედრითი წილი განისაზღვრა ცალ-ცალკე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ღეროების/მარღვების ოდენობების და ქსელის აქტიური მოწყობილობების დატვირთვის მოცულობის გამტარუნარიანობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენისას გათვალისწინებულ იქნა ავტორიზებული პირის მიერ ერთ-ერთ (რომელსაც ფლობდა) ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ღეროების/მარღვების ოდენობების საერთო მოცულობაში ან ქსელის აქტიური მოწყობილობების გამტარუნარიანობის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისთვის კანონით დადგენილი შესაბამისი ოდენობები.

ძირითადი/მაგისტრალური (“Trunk”) ქსელის სეგმენტი წარმოადგენს ქსელის ძირითად კვანძებს შორის აგრეგირებულ კავშირს. ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის ძირითადი ქსელის სხვა ავტორიზებული პირისთვის გაზიარება, ტრაფიკის სხვადასხვა ნაკადების საშუალებით ხორციელდება და ის აკავშირებს ძირითადი ქსელის ისეთ კვანძებს, როგორცაა ქალაქები და დასახლებული პუნქტები.

ცხრილი N5-ში მოცემულია ინფორმაცია ავტორიზებული პირების მიხედვით მაგისტრალური არხების მიმართულებების/მარშრუტებისა და მოცულობების შესახებ.

ცხრილი N5

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	F	Capacity	F	Capacity	FO	Capacity	F	Capacity	F	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ
თბილისი - ბათუმი (ქუთაისი) ¹	8	80,000	-	160,000	48	40,000	-	-	8	-	-	10,000	-	-	2	10,000	10	622
თბილისი - ფოთი ²	-	-	-	30,000	-	-	-	10,000	-	-	-	-	72	-	-	-	-	-
თბილისი - კასპი ³	-	-	-	15,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ფოთი - ბათუმი ⁴	-	80,000	-	20,000	48	10,000	-	10,000	8	-	-	10,000	72	-	2	10,000	10	622
ხაშური - გორი	-	-	-	40,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბათუმი - ქვიშხეთი ⁵	-	-	-	-	48	10,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გორი - კასპი	-	-	-	20,000	12	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზესტაფონი - ალავერდი	72	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზესტაფონი - თერჯოლა	-	-	-	-	-	-	-	1,000	4	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქუთაისი - წყალტუბო	24	10,000	-	10,000	24	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქუთაისი - მარტვილი ⁶	-	-	-	10,000	24	-	-	1,000	24	-	-	-	-	-	-	-	-	-
სენაკი - ხობი -	24	10,000	-	-	36	-	-	-	-	-	-	-	32	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ
ზუგდიდი																		
თბილისი - ბათუმი (ახალციხე) ⁷	72	80,000	-	-	48	10,000	-	-	-	-	-	6,000	-	-	-	-	-	-
თბილისი - ახალქალაქი ⁸	-	-	1 ⁸	20,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ახალციხე - ვალე	96	-	-	-	48	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ახალციხე - აბასთუმანი	72	1,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქედა - ხელვაჩაური	24	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბათუმი - სარფი	72	-	-	-	96	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	10	622
ქობულეთი - ოზურგეთი	72	10,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - თელავი ⁹	72	20,000	-	40,000	48	10,000	-	-	-	-	-	6,000	72	-	-	-	-	-
თელავი - ლაგოდეხი ¹⁰	-	-	-	-	48	10,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - თიანეთი ¹¹	-	-	-	10,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თელავი - თიანეთი ¹²	-	-	-	3,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გურჯაანი - ყვარელი	-	-	-	10,000	12	-	-	-	-	-	-	-	96	-	-	-	-	-
ბაკურციხე - ლაგოდეხი	-	-	-	20,000	48	10,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ
ბაკურციხე - დედოფლისწყარო	-	-	-	20,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თელავი - დუშეთი ¹³	72	-	-	-	36	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გურჯაანი - ლაგოდეხი ¹⁴	24	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბაკურციხე- წნორი ¹⁵	72	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
წნორი - დედოფლისწყარო	72	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ლაგოდეხი-განჯალა	-	-	-	5,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - დუშეთი ¹⁶	72	10,000	-	-	36	-	-	-	-	-	-	6,000	-	-	-	-	-	-
დუშეთი -ლარსი ¹⁷	72	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	10,000	-	-	-	-	-	-
თბილისი - გარდაბანი ¹⁸	8	10,000	-	20,000	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	1,000	10	622
თბილისი - კაზრეთი ¹⁹	-	-	-	-	-	-	-	-	4	-	-	-	-	-	-	-	-	-
გარდაბანი - წითელი ხიდი	72	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	1,000	10	-
ბორჯომი - ბაკურიანი ²⁰	24	1,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ხაშური - ახალციხე ²¹	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი -	8	10,000	-	30,000	24	10,000	-	-	-	-	-	10,000	-	-	2	1,000	10	622

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ
მარნეული ²²								-										
მარნეული - სადახლო ²³	72	-	-	20,000	48	-	-	-	-	-	-	-	48	-	6	1,000	10	622
მარნეული - წითელი ხიდი	-	-	-	5,000	48	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბოლნისი - თეთრი წყარო	72	1,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბოლნისი - მარნეული	-	-	-	10,000	12	-	-	-	-	-	-	-	96	-	-	-	-	-
ჩაქვი - სამტრედია ²⁴	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	10	622
ნატანები - ოზურგეთი	-	-	-	-	24	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	8	622
ზესტაფონი - საჩხერე ²⁵	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	10,000	-	-	-	-	-	8	622
ზესტაფონი - ბათუმი ²⁶	-	-	-	20,000	-	-	-	-	-	-	-	-	48	-	-	-	-	-
თბილისი - ქუთაისი	-	-	-	160,000	-	10,000	-	-	-	-	-	-	48	-	-	-	-	-
წალკა - ახალქალაქი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	72	-	-	-	-	-
თბილისი - ლარსი ²⁷	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	24	-	-	-	-	-
ზუგდიდი - ანაკლია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	24	-	-	-	-	-
რუსთავი მარნეული	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	96	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	F O	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ	რაოდენობა	მოცულობა მბ/წმ
თელავი - ყვარელი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	72	-	-	-	-	-
ახალციხე - ახალქალაქი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	72	-	-	-	-	-
რუსთავი - გურჯაანი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	96	-	-	-	-	-

ცხრილი N6-ში მოცემულია ინფორმაცია მაგისტრალური არხების მიმართულებების/მარშუტებისა და ავტორიზებული პირების ხვედრითი საბაზრო წილების შესახებ.

ცხრილი N6

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
თბილისი - ბათუმი (ქუთაისი) ¹	11	27	-	53	63	13	-	-	11	0	-	3	-	-	3	3	13	0
თბილისი - ფოთი ²	-	-	-	75	-	-	-	25	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
თბილისი - კასპი ³	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ფოთი - ბათუმი ⁴	-	57	-	14	35	7	-	7	6	0	-	7	51	-	1	7	7	1
ხაშური - გორი	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბათუმი - ქვიშხეთი ⁵	-	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი კსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
გორი - კასპი	-	-	-	100	86	-	-	-	14	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზესტაფონი - ალავერდი	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზესტაფონი - თერჯოლა	-	-	-	-	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქუთაისი -წყალტუბო	50	50	-	50	50	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქუთაისი - მარტვილი ⁶	-	-	-	91	50	-	-	9	50	-	-	-	-	-	-	-	-	-
სენაკი - ხობი - ზუგდიდი	26	100	-	-	39	-	-	-	-	-	-	-	35	-	-	-	-	-
თბილისი - ბათუმი (ახალციხე) ⁷	60	83	-	-	40	10	-	-	-	-	-	6	-	-	-	-	-	-
თბილისი - ახალქალაქი ⁸	-	-	-	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ახალციხე - ვალე	67	-	-	-	33	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ახალციხე - აბასთუმანი	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქედა -ხელვაჩაური	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბათუმი - სარფი	40	-	-	-	54	-	-	-	0	-	-	-	-	-	-	-	6	100
ქობულეთი - ოზურგეთი	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - თელავი ⁹	38	26	-	53	25	13	-	-	-	-	-	8	38	-	-	-	-	-
თელავი - ლაგოდეხი ¹⁰	-	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - თიანეთი ¹¹	-	-	-	100	10	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
	-				0	-		-								-		
თელავი - თიანეთი ¹²	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გურჯაანი - ყვარელი	-	-	-	100	11	-	-	-	-	-	-	-	89	-	-	-	-	-
ბაკურციხე - ლაგოდეხი	-	-	-	67	100	33	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბაკურციხე - დედოფლისწყარო	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თელავი - დუშეთი ¹³	67	-	-	-	33	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გურჯაანი - ლაგოდეხი ¹⁴	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბაკურციხე- წნორი ¹⁵	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
წნორი - დედოფლისწყარო	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ლაგოდეხი-განჯალა	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - დუშეთი ¹⁶	67	63	-	-	33	-	-	-	-	-	-	38	-	-	-	-	-	-
დუშეთი -ლარსი ¹⁷	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-	-
თბილისი - გარდაბანი ¹⁸	25	32	-	63	38	-	-	-	0	-	-	-	-	6	3	31	2	
თბილისი -კაზრეთი ¹⁹	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გარდაბანი - წითელი ხიდი	86	-	-	-	-	-	-	-	0	-	-	-	-	2	100	12	-	
ბორჯომი -ბაკურიანი ²⁰	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი კსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
ხაშური - ახალციხე ²¹	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თბილისი - მარნეული ²²	18	16	-	49	55	16	-	-	-	0	-	16	-	-	5	2	23	1
მარნეული - სადახლო ²³	39	-	-	92	26	-	-	-	-	0	-	-	26	-	3	5	5	3
მარნეული - წითელი ხიდი	-	-	-	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბოლნისი - თეთრი წყარო	100	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბოლნისი - მარნეული	-	-	-	100	11	-	-	-	-	-	-	-	89	-	-	-	-	-
ჩაქვი - სამტრედია ²⁴	-	-	-	-	-	-	-	-	-	0	-	-	-	-	-	-	100	100
ნატანები - ოზურგეთი	-	-	-	-	75	-	-	-	-	0	-	-	-	-	-	-	25	100
ზესტაფონი - საჩხერე ²⁵	-	-	-	-	-	-	-	-	-	0	-	94	-	-	-	-	100	6
ზესტაფონი - ბათუმი ²⁶	-	-	-	100	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
თბილისი - ქუთაისი	-	-	-	94	-	6	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
წალკა - ახალქალაქი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
თბილისი - ლარსი ²⁷	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
ზუგდიდი - ანაკლია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
რუსთავი მარნეული	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
თელავი - ყვარელი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

მიმართულება	სილქნეტი		მაგთიკომი		დელტაკომი		ახალი ქსელები		ფოპტნეტი		კავკასუს ონლაინი		პისი მაქსი		რკინიგზის ტელეკომი		საქართველოს რკინიგზა	
	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	FO	Capacity	F O	Capacity	FO	Capacity
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
	-					-		-					100			-		-
ახალციხე - ახალქალაქი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
რუსთავი - გურჯაანი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-

შენიშვნა:

1. ბაზრის ანალიზში მონაწილე კომპანიებიდან აფილირებული ავტორიზებული პირებია: ა) შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“ და შპს „ფოპტნეტი“; ბ) შპს „მაგთიკომი“ და შპს „დელტა კომმი“; გ) სს „სილქნეტი“ და შპს „ჯეოსელი“. შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად აღნიშნული ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილები შეიკრიბა.

2. 2018 წლის პირველ ნოემბერს შპს „ჯეოსელი“ შეერწყა სს „სილქნეტს“. შესაბამისად ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები გავრცელდება სს „სილქნეტზე“.

შენიშვნა: ცხრილში მოცემული მაგისტრალური მონაკვეთები მოცემულია დამაბოლოებელ წერტილებს შორის დასახელებებით (A საწყისი და B საბოლოო წერტილები), თუმცა აღნიშნულ ორ წერტილს შორის მაგისტრალური მონაკვეთი გაივლის ასევე სხვა დასახლებულ პუნქტებსაც, სადაც შესაძლებელია ქსელთან დაშვების მსურველი ავტორიზებული პირის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელთან დაშვება.

მაგისტრალური მონაკვეთების შემადგენელი ნაწილები (დასახლებული პუნქტები)

ავტორიზებული პირების მიხედვით.

1. თბილისი - ბათუმი (ქუთაისის გავლით)

o სს „სილქნეტი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, ხარაგაული, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ფოთი, ლანჩხუთი, ქობულეთი, ბათუმი.

o შპს „საქართველოს რკინიგზა“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ზაჰესი, კასპი, აგარა, ხაშური, წიფი, მარელისი, ძირულა, ზესტაფონი, რიონი, კოპიტნარი, სამტრედია, საჯავახო, ნიგოეთი, ჯუმათი, ურეკი, ქობულეთი, მახინჯაური, ბათუმი.

o შპს „კავკასუს ონლაინი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, გორი, ზესტაფონი, სენაკი, ანაკლია, ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, ქობულეთი, ურეკი, ოზურგეთი, ნატანები, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ტყიბული.

o შპს „რკინიგზის ტელეკომი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, გორი, ქუთაისი, სამტრედია, ქობულეთი, ბათუმი, ურეკი, ნატანები, ოფშხვითი, ხაშური, კასპი, იგოეთი, ზესტაფონი, ფოთი, სენაკი.

o შპს „ფოპტნეტი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, სამტრედია, ფოთი, ბათუმი, ზუგდიდი.

o შპს „დელტა კომი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ქუთაისი, ბათუმი.

o შპს „მაგთიკომი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ბათუმი.

2. თბილისი - ფოთი

o შპს „ახალი ქსელები“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი.

o შპს „მაგთიკომი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ქუთაისი, ფოთი.

o შპს „პისი მაქსი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, გორი, რიკოთის გვირაბი, ზესტაფონი, ვარციხე, სამტრედია, სენაკი, ფოთი.

3. თბილისი - კასპი

o შპს „მაგთიკომი“

o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ქანდა, გორი, იგოეთი, კასპი.

4. ფოთი - ბათუმი

o შპს „პისი მაქსი“

o დასახლებული პუნქტები:

ფოთი, ქობულეთი, ბათუმი.

o შპს „დელტა კომი“

- o დასახლებული პუნქტი:

სოფელი „პატარა ფოთი“

5. ბათუმი - ქვიშხეთი

- o შპს „დელტა კომი“

- o დასახლებული პუნქტები:

ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ქვიშხეთი.

6. ქუთაისი-მარტვილი

- o შპს „მაგთიკომი“

- o დასახლებული პუნქტები:

ქუთაისი, სამტრედია, მარტვილი.

7. თბილისი - ბათუმი (ახალციხე)

- o სს „სილქნეტი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, წალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ასპინძა, ახალციხე, ადიგენი, ხულო, ქედა, ბათუმი.

- o შპს „დელტა კომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ქანდა, გორი, ქვიშხეთი, ახალციხე, ხულო, ბათუმი

- o შპს „კავკასუს ონაინი“

- o დასახლებული პუნქტები:

ახალციხე, ბორჯომი, წალკა.

8. თბილისი - ახალქალაქი

- o შპს „მაგთიკომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი.

შენიშვნა: ამ მონაკვეთზე შპს „მაგთიკომს“ საკუთარი აქტიური მოწყობილობა დამონტაჟებული აქვს ხელშეუვალი სარეგებლობის უფლებით („IRU“) აღებულ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთ მარღვზე.

9. თბილისი - თელავი

- o სს „სილქნეტი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, საგარეჯო, გურჯაანი, თელავი.

- o შპს „დელტა კომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, თელავი.

- o შპს „კავკასუს ონაინი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, თელავი, გურჯაანი, ყვარელი.

- o შპს „მაგთიკომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, საგარეჯო, ბაკურციხე, გურჯაანი, თელავი.

10. თელავი - ლაგოდეხი

- o შპს „დელტა კომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თელავი, ბაკურციხე, ლაგოდეხი.

11. თბილისი-თიანეთი

- o შპს „მაგთიკომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ბაზალეთი, თიანეთი.

12. თელავი -თიანეთი

- o შპს „მაგთიკომი“

- o დასახლებული პუნქტები:

თელავი, თიანეთი.

13. თელავი - დუშეთი

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
თელავი, ახმეტა, თიანეთი, დუშეთი.

14. გურჯაანი - ლაგოდეხი

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
გურჯაანი, ველისციხე, ყვარელი, ლაგოდეხი.

15. ბაკურციხე- წნორი

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
ბაკურციხე, წნორი, სიღნაღი.

16. თბილისი - დუშეთი

- შპს „კავკასუს ონალინი“
- დასახლებული პუნქტები:
დუშეთი, ფასანაური, გუდაური, ზედაზენი.

17. დუშეთი -ლარსი

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
დუშეთი, სტეფანწმინდა, ლარსი.

- შპს „კავკასუს ონალინი“
- დასახლებული პუნქტები:
დუშეთი, სტეფანწმინდა, ლარსი.

18. თბილისი - გარდაბანი

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
თბილისი, რუსთავი, გარდაბანი.

- შპს „საქართველოს რკინიგზა“
- დასახლებული პუნქტები:
თბილისი, ველი, რუსთავი, გაჩიანი, გარდაბანი.

- შპს „რკინიგზის ტელეკომი“
- დასახლებული პუნქტები:
თბილისი, რუსთავი, გარდაბანი.

- შპს „მაგთიკომი“
- დასახლებული პუნქტები:
თბილისი, რუსთავი, გარდაბანი.

19. თბილისი -კაზრეთი

- შპს „ფოპტნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
თბილისი, ბოლნისი, კაზრეთი

20. ბორჯომი -ბაკურიანი

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
ბორჯომი, წაღვერი, ბაკურიანი

21. ხაშური - ახალციხე

- სს „სილქნეტი“
- დასახლებული პუნქტები:
ხაშური, ბორჯომი, ახალციხე

- შპს „მაგთიკომი“
- დასახლებული პუნქტები:
ხაშური, ბორჯომი, ახალციხე

22. თბილისი - მარნეული

- შპს „საქართველოს რკინიგზა“
- დასახლებული პუნქტები:

თბილისი, მარაზდა, შულავერი, მარნეული

- შპს „დელტა კომი“
- დასახლებული პუნქტები:

თბილისი, მარნეული.

23. მარნეული -სადახლო

- სს „სილქნეტი“
 - დასახლებული პუნქტები:
- მარნეული, ბოლნისი, დმანისი, სადახლო.

- შპს „მაგთიკომი“
 - დასახლებული პუნქტები:
- მარნეული, სადახლო.

24. ჩაქვი- სამტრედია

- შპს „საქართველოს რკინიგზა“
- დასახლებული პუნქტები:

ჩაქვი, ნატანები, სუფსა, ლანჩხუთი, აბაშა, სენაკი, ჭალადიდი, ფოთი, ქვალონი, აგურქარხანა, ქოლობანი, სამტრედია.

25. ზესტაფონი - საჩხერე

- შპს „კავკასუს ონალინი“
- დასახლებული პუნქტები:

ხაშური, საჩხერე, ჭიათურა.

26. ზესტაფონი - ბათუმი

- შპს „მაგთიკომი“
- დასახლებული პუნქტები:

ზესტაფონი, ქუთაისი, ბათუმი.

27. თბილისი - ლარსი

- შპს „პისი მაქსი“
- დასახლებული პუნქტები:

თბილისი, ნატახტარი, ფასანაური, გუდაური, სტეფანწმინდა, ლარსი.

